

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობებულია საქართველოს მიერ ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფისა (FATF) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციების შესრულების საჭიროებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიზანია არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ეფექტურობის უზრუნველყოფა, სტაბილურობისა და განვითარების მისაღწევად, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველყოფა. აგრეთვე, FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული ცვლილებები განაპირობებულია იმ ფაქტით, რომ FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციები მოითხოვს სათაო საწარმოს მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაარსებული ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიმართ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის თვალსაზრისით საქართველოში მოქმედი ზომების ექვივალენტური ღონისძიებების გატარებას, თუკი იმ ქვეყანაში, სადაც არსდება ფილიალი ან იქმნება შვილობილი საწარმო, მოქმედებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სუსტი რეჟიმი, საქართველოში არსებულთან შედარებით.

ამასანავე, შემოთავაზებული ცვლილებებით ხდება ზოგიერთი პროცედურის დახვეწა და პრაქტიკით გამოვლენილი პრობლემური საკითხების აღმოფხვრა. კერძოდ, ტექნიკურად დაიხვეწა კანონის მე-12 და მე-13 მუხლები;

ცვლილებების შედეგად ახლებურად ყალიბდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ არასახელმწიფო საპენსიო სქემების დაფუძნების რეჟიმი: კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევით უზრუნველყოფის საშუალება ექნებათ სპეციალურად ამ საქმიანობის წარმოების მიზნით დაფუძნებული შვილობილი კომპანიების მეშვეობით. კანონპროექტით გათვალისწინებულია კომერციული ბანკის მიერ შვილობილი კომპანიის მეშვეობით არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივების მართვისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეჟიმი. კომერციული ბანკების მიერ შვილობილი კომპანიების მეშვეობით დაფუძნებულ

არასახელმწიფო საპენსიო სქემებზე ვრცელდება საპენსიო დანაგროვთა ინვესტირებაზე საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნები და შეზღუდვები.

ცვლილებები ასევე ითვალისწინებს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი იურიდიული პირისა და მისი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ შესაბამისობის კრიტერიუმების დაწესებას, რაც საშუალებას იძლევა გამოირიცხოს სქემების ბოროტად გამოყენება მისი დამფუძნებლების მიერ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე.